



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/9

„7“ აპრილი 2015წ.

### გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საერთო სასამართლოებისთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში  
გამოთავისუფლებული რესურსის თაობაზე

„საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მომზადებულ იქნა საერთო სასამართლოებისთვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ადმინისტრაციული ხარჯებისა და ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შემცირების პროექტი.

1. ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი თანდართული პროექტი.

2. აღნიშნული პროექტის შესაბამისად, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საერთო სასამართლოებისათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ადმინისტრაციული ხარჯებისა და ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების შემცირების პროექტი

№	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის დასახელება	დასახელება	თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	საფოსტო მომსახურების ხარჯი	საფოსტო მომსახურების ხარჯი	80000	
2	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	ავტომანქანებისთვის საწვავის შეძენის ხარჯები	30000	საწვავის ლიმიტის შემცირების შემთხვევაში (თუ საწვავის არსებული ფასი არ გაიზრდება 10%-ზე მეტით)
3	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი	გათბობის სისტემების შეკეთება	10000	
4	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	გენერატორების შეკეთება	10000	
5	საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი	სათარჯიმნო მომსახურების ხარჯი	10000	
6	კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა	კარტრიჯების დატუმბვის ხარჯები	10000	
<b>სულ ჯამი</b>			<b>150000</b>	